სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიჰმართავენ რედაქციას დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—7
დღ „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Гифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

მეთოდე ვასილის ძე ქათამაძე და მართა აბულაძის ასუ-
ლი, პირველი—ქმარი და მეორე—დედა გარდაცვალებულის

## თებრომია ქათამაძისა

ამით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ გარდაცვალების წლის თავზე, ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, ჩხარის მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს
ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
ეფემია მესხის მონაწილეობით
ბენეფისი კ. ს. მესხისა
წარმოდგენილი იქნება

## კოტრი აზნაური

5 მოქმედ. კომედია, თარგ. ვ. აბაშიძისა

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| დონ-სეზარ დე-ბაზან, აზნაური | ბ. მესხი |
| მარიტანა, მომღერალი ქალი | ქ. ეფ. მესხისა |
| მთავარი არკოსისა | ბ. სვიმონიძე |
| სანტარენ, მინისტრი | ბ. კანდელაკი |
| მონტეფიორე, საქათმოთა დირექტორი | ბ. გედევანოვი |
| მარკიზა, ამისი ცოლი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| ნრიკეზ, კაპიტანი | ბ. კავთელი |
| ლაზარილიო, პატარა ბიჭი | ქ. გარელი |
| პიპო, მსახური | ბ. ხოსროევი |

მხედარნი, ხალხი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

ხელოსანთა ამხანაგობა **„შრომა“**

ქარხანამ მოიწვია გამოჩენილი ოსტატი, მეჩუქურთმე და კანკელის მკეთებელი, ა. აფ. ბატანოვი; მოიწვია აგრეთვე კარგი მცოდნე მებელის გადაკვრისა გ. ჯაფარიძე. ამიტომ „შრომა“ იღებს შეკვეთას და პირობას სდებს, რომ ძალიან კარგად შეასრულებს საქმეებს: სადურგლოს, საჩუქურთმოს, სახარატოს, კანკელისა და ძვირფას კარებების გაკეთებას, მებელის გადაკვრას, ფარდების გაკეთებას და ოთახების მორთვას, ლეიბების გაკეთებას და სხვა.

ამ ჟამად ქარხანასთან მებელის საწყობიც არის გამართული, სადაც იყიდება:

1. დიდი და მშვენიერი აბანოზის ბუფეტის შკაფი . 160 მ.
2. ქორაფის შკაფი ტანისამოსისა . . . . 120 „
3. ლეიბები ზღვის ბალახისა . . . . 5 „
4. წიგნის შკაფები . . . . . . 30—35 მ.
5. შიფანელკა . . . . . . 80 მ.

პირის-საბანები, პატარა შკაფები, სადილისა და საწერი მაგიდები.

(100—54)

☛ მგზავრთა საყურადღებოდ ☚

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 7 ნოემბრიდან ბათომის სასტუმრო

## „ლონდონი“

ჩვენს ხელში გადმოვიდა. ეს ფირმა ბათომში ძველის ძველია და ჯეროვნად აქვს დამსახურებული საზოგადოების ყურადღება. ჩვენც განსაკუთრებით ვეცდებით საზოგადოების გული მოვიგოთ. აქამდე თუ რამ ნაკლი ჰქონდა ამ სასტუმროს, იმედი გვაქვს, მომავალში თავიდან ავაშოროთ.

პატივისცემით დავშთები სასტუმროს პატრონი

ბათომი. ალექსანდრე თოიძე

კვირას, 29 გიორგობისთვეს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“

კრება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა თანხმად წარსული წლიური კრების დადგინებისა და 2) ფირმის წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(6—2)

# ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

**სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.**

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი **75** კაპიკად.

ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

ადრესი: Тифлисъ, фотографія Ройнова, А. Нордштейну.

(10—1)

გამოვიდა და იყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის
მაღაზიაში

## იმერული სცენები

შეკრებილი კ. მესხის მიერ
ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა.

(12—1)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორია ი არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო ირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** საეპარქიო საქალებო სასწავლებლის დღეობა. შაბათს, 21 ნოემბერს, ტფილისის საეპარქიო საქალებო სასწავლებლის ტაძრის დღეობაზე სასწავლებლის ეკკლესიაში წირვა გადიხადა საქართველოს ეგზარხოსმა, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, ტფილისის სასულიერო სემინარიის გერმაგენის და სხ. თანამსახურებით. წირვის დროს მწყობრად გალობდა მოწაფეთა გუნდი. სასწავლებლის საბჭოს წევრმა მღვდელმა მ. ა. თოთიბაძემ წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი სიტყვა.

*** გრაფის სერგეი ტოლსტოის ტფილისში ჩამოსვლა. ქ. ბათომიდგან ქ. ტფილისში ჩამოვიდა რუსეთის გამოჩენილი მწერლის შვილი გრაფი სერგეი ლევის ძე ტოლსტოი

*** ამქართა მამასახლისების არჩევნები. რადგან ამქართა მამასახლისებმა უკვე სამსახურის ვადა შეასრულეს, მომავალ ქრისტიშობისთვის დანიშნულია მამასახლისთა დ მათის კანდიდატების არჩევნები.

*** ტფილისის მეაფთიაქეთა თხოვნა. ტფილისის აფთიაქართა თხოვნა მიართვეს ტფილისის სამკურნალო მართველობას იმის შესახებ, რომ ნება დართეთ განსაკუთრებული ლაბორატორია გამართონ, სადაც შეეძლოთ სადეზინფექციო ნივთიერებათა მომზადება.

*** რუსების გადასახლება ტფილისის გუბერნიაში. როგორც მკითხველებს მოეხსენება ამ ერთის წლის წინად ტფილისში შესდგა „შემძლო საზოგადოება რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის“. ამ საზოგადოებას თურმე აზრად აქვს დაასახლოს რუსეთიდან გადმოსულები ტფილისის გუბერნიაში სახელმწიფო მიწებზე.

*** ფრიად სასიქადულო განზრახვა. როგორც გაზეთები იუწყებიან საქველ-მოქმედო საქალებო წმ. ნინოს რჩევის თავმჯდომარეს კნეინა მ. ფ. გოლიცინისას, ტფილისში დაუარსებია განსაკუთრებითი კომისია, რომელმაც ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებლის გადაკეთების პროექტი უნდა განიხილოს. კომისიის წევრნი არიან: ინჟინერი ს. ფ. ნოვოშესკი, წევრნი საოლქო რჩევისა პოლკოვნიკი პ. ფ. ფონ-პარკაუ და სხვა პირნი. ახლად შემუშავებულის პროექტით ქუთაისის საქალებო სასწავლებელი შესამჩნევად უნდა გაფართოვდეს, სახელმწიფო ხარჯზე უნდა იზარდოს ყოველ წლივ 80 ახალგაზდა ქალიო და გარეშე მოსიარულეთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 600 ქალისა. თუ მოწონებული იქმნა ეს პროექტი, მაშინვე ახალი შენობის აგებას შეუდგებიანო.

*** ცხენის რკინის გზის საქმე. 23 ნოემბერს, ქალაქის საბჭომ გამოუცხადა ყოველივე თავის პირობანი ბ. უსახელო საზოგადოების რწმუნებულს ცხენის რკინის გზის იჯარით აღების შესახებ. ბ. რობი ყველა პირობებზე ყაბული გახდა, გახდა იმ მუხლისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ სამის წლის განმავლობაში რწმუნებულმა ახალი გზები უნდა გაიყვანოსო. გუშინ საბჭომ ეს პირობა მერვე მუხლში შეიტანა.

*** მთხოვარების შეპყრობა. 23 ნოემბერს, პოლიციამ შეიპყრო და დაატუსაღა 30 მთხოვარი, რომელნიც გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევდნენ. ყველა ისინი სპარსეთ-ოსმალეთის ქვეშევრდომნი ან ერევნის გუბერნიის მცხოვრებნი არიან და არა აქვთ არავითარი მოწმობის ქაღალდი. მათ ეტაპით გააგზავნიან სამშობლოში.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენა. რადგან 1900 წელს შესრულდება 50 წლიწადი ტფილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების არსებობის დღიდან, საზოგადოების საგანგებო კომისიამ დაადგინა დაგვირგვინდეს ეს შემთხვევა კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამართვით.

*** საერო გადასახადების საქმე. მთავარ მართებლის საბჭომ იმ კითხვის განხილვის დროს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საერო გადასახადების საქმე ამიერ-კავკასიაში, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, თუ რა უწესრიგობას წარმოადგენს მოხარკე მცხოვრებლებზე საერო სახელმწიფო გადასახადების გადატანა. საბჭომ აღნიშნა, რომ როგორც გადასახადების სიმძიმის გამო ის, სხვა-და-სხვა სტიქიონურ უბედურებისაგან, მოხარკე მცხოვრებთი მეურმეობა მეტის-მეტად შეირყა და მაშასადამე მეტად გაძნელდა, მისთვის სხვა-და-სხვა ბეგარის მოხდა, რასაც შედეგად მოსდევს აუარებელი „ნედოიმკები“.

ყოველივე ამის გამო კასკასიის უმაღლესი მთავრობა ცდილობს უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაამყაროს საერო გადასახადების საქმე, შეუმსუბუქდეს მეხარკე მცხოვრებთ სხვა-და-სხვა გვარი სავალდებულო ხარჯი და ამ მიზნის მისაღწევად უკვე შეუდგა საჭირო ზომების მიღებას.

*** სანადელო მამულების იჯარით გაცემა. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წინადადება მისცა თავის ხელ-ქვეით მყოფ ადგილობრივ სამმართველოებს, ნება მისცეთ ტყის მცველთ და მათ თანაშემწეთ იჯარით გასცენ თავიანთი სანადელო მამული ექვსის წლის ვადით.

*** კაცის დაჭრა. 22 ნოემბერს, პოლიციის მესამე ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ ძმათ ლუკას და ერმალოზ ხახლიანიძეებს და იმათ ამხანაგებს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ გიორგი ბერიკაშვილს. ხახლიანიძეები მისცვივდნენ ბერიკაშვილს და დაუწყეს ცემა, შემდეგ იძრო ხანჯალი ერმალოზ ხახლიანიძემ და უკანასკნელი დასჭრა. დაჭრილი ბერიკაშვილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, დაჭრილი, ექიმების აზრით, არ მორჩება.

*** თეატრის მმართველობის უწესობა. 23 ნოემბერს, ტფილისის სახელმწიფო თეატრში, ოპერა „ოტელოს“ თამაშობდნენ, მაგრამ შემდეგ მეორე მოქმედებისა, ოპერა „კარმენით“ დაამთავრეს, რადგანაც უმთავრესი როლის შემსრულებელი არტისტი ბ. გვალია, რომელიც ახლად მოიწვიეს, ძალიან შეზარხოშებული გამოდგა და თამაში ველარ განაგრძო. ნეტა რასა ფიქრობდა თითონ ბ. რეჟისორი, როცა ისეთ მთვრალ არტისტს უშვებდა სცენაზედ, რომელიც ფეხზე ვერა დგებოდა და მერე ისიც უმთავრეს როლში. საზოგადოება ძალიანააშფოთა ამ შემთხვევამ და დიდად უკმაყოფილო დაბრუნდა. ამ გვარი საქციელი მიეწერება თეატრის გამგეობის უვიცობას და საზოგადოების უპატივისმცემლობას.

*** ავჭალის თავ-შესაფარის კურთხევა. კვირას, 22 ნოემბერს, ავჭალაში გახსნეს და აკურთხეს მცირე წლოვან დამნაშავეთა, თავ-შესაფარი-

*** ახალი სულით ავადმყოფთა სამკურნალო. ქალაქის მიერ ახლად დაარსებულს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში უკვე იღებენ ავადმყოფთ.

*** უბედური შემთხვევა. (ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ) 16 ნოემბერს, ოლგას ქუჩაზე, შეშის გადასახიდის ამკრეფს ნიკო კვალიაშვილს დაეჯახა ეტლი № 49 და მძიმედ დაშავდა. მკლავი მოსტეხა და გვერდები დაუმტვრია. კვალიაშვილი ცოცხალ-მკვდარი დავარდა მიწაზე და შემდეგ შინ წამოიყვანეს. ნ. კვალიაშვილი ვერის მოედანზე ჰკრეფდა შეშის გადასახადს ჩვიდმეტი წელიწადი ერთგულად და მუყაითად ასრულებდა თავის სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ.

გათენებული არც კი იყო ხოლმე, როცა კვალიაშვილი, თავისი მოხუცებულობისა და ყინვა-სიცივის მიუხედავად, მოვალეობის ასრულებას შეუდგებოდა. ძალიან კარგი იქნება, რომ ქალაქის გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებდეს თავისი ერთგულ მუშის კეთილსამსახურობას და შემწეობას აღმოუჩენდეს ნ. კვალიაშვილს, რომელიც წვრილ-ცოლშვილის პატრონია, ამასთან ისიც კარგი იქნება, რომ ქალაქის გამგეობამ გაუკეთოს შეშის გადასახადის ამკრეფთ პატარ-პატარა თავ-შესაფრები ყველა მოედნებზე, რადგან ზამთარი მომავალია.

თანამგრძნობი

*** ახალ-მოდის გასართობი. ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე, ერთ მეწვრიმალეს როცა ვაჭრობა არა აქვს და ქესატობისაგან გული ელევა, ახსნის თავის ყოჩს, რომელიც დუქანთან უბია და გაუშვებს გამვლელ-გამომვლელთან საბრძოლველად: ყოჩი აჯახებს რქებს გამვლელს და მოსვენება აღარავის აქვს მისგან. მისი პატრონი კი ამ დროს არხეინად ხარხარებს. წარსულ კვირას, ნაშუადღევს ყოჩი ღონივრად დაეჯახა ერთ ხანში შესულ კაცს და იქვე დაგუბებულ წუმპეში გადაჩეხა. კაცი ძლივ-ძლივობით ამოათრიეს, წუმპე ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული... საჭიროა,

ყურადღება მიექცეს ამ თავ-გასუ-...

მაცკიანთ იოსება

* * ს. კულაში (ქვემო იმერე-
თი). ქალის მოტაცება. ნოემბრის
ამდეგ რიცხვებში ამაურმა მცხოვრებმა გლეხმა ენ. ნიკურაძემ მოტაცა ჩხენიშის მცხოვრების გლეხის ლუკა გოგოლეიშვილის ქალი. ...ი საქმე როგორ იყო: ერთ ღამეს ნიკურაძეს შეუკრებია რამდენიმე ...ქარი. მათ შორის ყოფილან ქალის მეზობლებიც, რომელთაც ძა... უსვამთ და დამთვრალან. ქა...ბლოში მამის მეტი არავინ ...ა. ნიკურაძე სწორედ ამ ... მისულა თავისი რაინდებით ...ის სახლში, მამის ...ემოუყვანიათ ის და წაუყვანიათ ...ლიც. წარსულ აღების ღამეს ...ალიბლებმა უკვე ჯვარიც დაი... როგორც სჩანს, ქალის სუ...ილიც ყოფილა. მამა პირველად ... ჯავრობდა თავისი ქალის ...ტაცებას, მაგრამ ბოლოს დამ...რდა, ალბად იმიტომ, რომ მზი... თავისი ქალისთვის სრულიად ... დასჭირებია და ბიჯიც არ იყო ...თვის დასაწუნი. კარგი, რომ ...ქმე მშვიდობიანად დაბოლო..., თორემ არა ერთხელ მინახავს ...ვარ შემთხვევაში ჩხუბი და კა...ი კვლაც. საზოგადოდ ქალის ...ტაცება აქეთ ხშირია და ჩვენის ...ქრით, ეს მოვლენა, სხვათა შო...ის, წარმოსდგება ერთი-მეორის ...ბაძვიდან.

ე ჩიჯავაძე

* * ქ. ოზურგეთი. ქალაღდის ...აშში. ხუთი წელიწადი, მგონია, ...ტიც იქნება, რაც ბ. ე. ჩ—ს ...უქნის უკანა ოთახში, რომელიც ...განგებოთ საბანქოოდ არის მო...თული, ქალაღდს თამაშობენ. ხსე...ბოთომა ...ბატონმა ბანქოს გუ...ისა ...კაჭრობას თავი დაანება. ...თენდე...ა თუ არა, გაჩნდება ეს ...ქბატონი თავისს დუქნის წინ, ...კალს უქნევს იქვე მეზობლებს ...ა ამქრებს. არც ერთს ამათგანს, ...კი ქალაღდს შეექცევიან, აღარც ...დილი უნდა და აღარც ცოლ...ვილს კითხულობს. ხშირად ჩხუ...ც მოსდით მოთამაშეთ. ამ ვაჭ...ონს ბევრი უსაქმო ახალგაზ...და უვარდება კლანჭებში, რო...ნიც ღამ-ღამე დასეირნობენ და ...სით-კი ქალაღდის თამაშს შე...ცევიან. ამნაირად, ირყვნება და ...იზარმაცეს ეჩვევა ეს ახალგაზდო...ა...

— საქველ-მოქმედო წარმოდგენა. ...ასულს შაბათს აქ სცენის მოყვა...რეებმა ერთი მოსწავლე ახალ გაზ...და სტუდენტის სასარგებლოდ წარ...მოდგენა გამართეს. ითამაშეს დრა...ა ვ. გუნიასი „და-ძმა“ — თამაშო...ბნენ: მ. ჯაყელი, მანორაშვილი ვ. კალანდაძე, გ. გუგუნავა გოჩაშვილი, ვ. უწინარიძე, წაქაძე, სუფსის პირელი და სხვა. შემოსავალი ძლიერ ცოტა იყო, რადგანაც ამინდი ხელს უშლიდა და მთელი სამი დღე წვიმა იყო. არ შემიძლია არ შევნიშნო ჩვენი სცენის მოყვარეთ, რომ ისეთი ცოტა დრო, როგორიც ამ წარმოდგენას მოახმარეს საკმარისი არ იყო: ხუთშაბათს როლები მიიღეს და შაბათს ითამაშეს.

ვარტ

* * ქობულეთი. საქონლის გასრესა. ქობულეთის მცხოვრებთ ხშირად ჰყავთ სხვა-და-სხვა საქონლის ჯოგი—ცხენისა, ძროხისა, ცხვრისა და სხვა; მაგრამ ვაი ამისთანა ყოლას! თუ მწყემსი ერთ წამს განშორდა საქონელს, ამ უკანასკნელს ხელათ მატარებელი მოუღებს ბოლოს. ამ დღეებშიაც, გიორგობისთვის 16 თუ 17-ს, გასრისა მატარებელმა თექვსმეტი ცხენი. ასეთი შემთხვევა ხშირად ხდება ქობულეთში, რის გამოც თითქმის ღლუკმა-პუროდ რჩებიან მეპატრონენი. ჩვენი ფიქრით, როგორც მოკვლა საქონლისა, ისე მისი გადარჩენაც ადვილად შეუძლიანთ ბბ. მაშინისტებს და მის ამხანაგებს, და ურიგო არ იქნება ააშორონ ხოლმე ხალხს ზარალი.

ი. ციხის-უბნელი.

## რედაქციისაგან

**უჯარმაში** ს. გადიელს. თქვენი წერილი «სანდროს მიერ ბათომში ლონდონის აღების» შესახებ ვერ იბეჭდება. გვიკვირს, არ მიხვდით, რომ «ლონდონის აღება» მხოლოდ განცხადება იყო, მოგეხსენებათ, რომ განცხადებას მაშინ აქვს აზრი, როცა მას ყველანი ყურადღებას მიაქცევენ და ყურადღება რომ მიუქცევიათ ყველგან ამაზე, თქვენც გვემოწმებით.

**დუშეთში** დამსწრეთაგანს. თქვენი წერილი წარმოდგენის შესახებ ვერ იბეჭდება.

**სურამში** მელქო ლოტუევს. თქვენი საპასუხო წერილი ორი შინის წინააღმდეგ ვერ იბეჭდება, რადგან არავითარი საბუთი არ მოგყავთ თავის გასამართლებლად. თუ ეგრე ყოფილიყო საქმე, როგორც თქვენ იწერებით, რატომ ეგ ყოველივე სასამართლოს არ მოახსენეთ და თუ მოიხსენეთ მოსამართლემ რად დაგსაჯათ? ისევ საოლქო სასამართლოს განჩინებას უნდა ვუცადოთ, რაც შეეხება ორ შინს, ჩვენ იმას კარგათ ვიცნობთ და არა გვგონია, რომ მას შეცდომაში შეეყვანა რედაქცია. ჩნ.

## სამეცნიერო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი*)

ა**პ**ელსინი თურინჯი (ქართული) ფორთოხალი, (იმერული, გურული, მეგრული), აპელსინ (რუსული) ციტრუს' ავრანტიუმ რისსო, (ლათინური), ფორთოხალ (სომხური). ეს მცენარე არის ცხელ ქვეყნებიდამ, რის გამო ხუთ გრადუს მეტს სიცივეს ვერ იტანს. ეს მცენარე თავის სამშობლოში ველურად იზრდება მინდვრებში და ტყეებში, მაგრამ ჩვენში კი ქცეულა შინაურ მცენარეთ, რომელსაც ზამთრობით კათხიანად ინახავენ ოთახებში, ზაფხულობით კი გარედ ჰაერზედ. მაგრამ ქალაქ ფოთში კი ზამთარ-ზაფხულ გარედ ჰაერზედ არის ხოლმე. ეს მცენარე ყვავის და ნაყოფი მოაქვს თითქმის მთელ წლის განმავლობაში, ასე რომ რიგი ყვავის, რიგი ნაყოფით ისახება, რიგი მომსხვილო ნაყოფია, მაგრამ შემოუსვლელია, რიგი კიდევ მწიფეა. მწიფე ნაყოფი ყვითელი ფერისაა, გარდა ამისა, მშვენიერი სუნისაა. მაგრამ შემოუსვლელ ნაყოფს კი არა აქვს იმისთანა მშვენიერი სუნი. მის მწვანე ფოთოლსაც აქვს მშვენიერი სუნი. ხოლო როდესაც გაისრისება ხელში, უიმისოდ კი, ე. ი. გაუსრესავ ფოთოლს სრულებით არა აქვს სუნი. ყვავის თეთრად, რომელსაც აქვს მშვენიერი სუნი. მცენარე მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, ნამყენებით და გადაწვენით გაზაფხულობით და ზაფხულობით. მის გადასარგავად მიწა უნდა მომზადდეს ასე: აიღეთ ერთი ნაწილი ისე უბრალო ფხვიერი მიწა (дерновая земля), ერთე მეხუთედი დამიწავებული სასუქი და ორი მეხუთედი კარგად გარეცხილი ქვიშა. ესენი სულ ერთმანერთში უნდა აირიოს და ისე უნდა მოხმარდეს მცენარეს. გადარგვის დრო არის გაზაფხული. კარგი მსხვილი ნაყოფის მოსხმისათვის და სანაყოფიერო ტოტების გამრავლებისათვის საჭიროა მცენარეს ყოველ გაზაცხულობით გადარგვა და გასხვლა. მცენარე ხშირ მორწყვას არ საჭიროებს, მომეტებულ მორწყვისაგან შიგ მიწაში ფესვებს შუა მას უჩნდება მოგრძელო ჭია. რის გამო მცენარეს მალე ესპობა სიცოცხლე. ხშირათ მოხდება ხოლმე მცენარეს მოუვლელობის გამო ეხვევა ტკიპი, ამ ტკიპის წინააღმდეგი წამალი არის წყალში გახსნილი საპონი და ერთი მესამედი ნაწილიც უნდა მიემატოს ნავთი: (ასე რომ ორ ნაწილ საპონ-წყალს უნდა მიემატოს ერთ მესამედი თეთრი ნავთი). ამ შეზავებულ წყლით უნდა რეცხოთ ფოთლები, ყლორტები და ტოტები: კათხაში მყოფი მიწაც მორწყვის შემდეგ ყოველთვის უნდა აუჩიჩლოთ პატარა ჯოხით, რომ ჰაერმა კარგად იმოქმედოს მწოვარა ფესვებზედ. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ კათხაში (ბოჩკაში) სუსტათ გვარობს მცენარე, მაშინ გაზაფხულობით, აპრილში ან მაისში მცენარე ამოიღეთ კათხიდან, ცოტათი მოაკვეტეთ ფესვები და ისე გადარგეთ გარეთ ორმოში, ხოლო ორმოსთვისაც მოამზადეთ იმისთანავე მიწა, როგორც ზემოთა მქონდა ნათქვამი, ამისთანა სუსტი მცენარე ორმოში რჩება შემოდგომამდისინ, შემოდგომაზე გადარგეთ**) ცოტა მოზრდილ კათხაში და შეიტანეთ შინ. ხოლო კათხის ძირი რამდენიმე ალაგას დაჩხვლეტილი უნდა იყოს და ძირში ერთი ვერშოკის სიმაღლეზედ უნდა ჩაიყაროს დამტვრეული კრამიტი ან აგური, რომ მორწყვის დროს, წყალი არ დაგუბდეს კათხაში და მცენარეს არ დაულპოს მწოვარა ფესვები. მრავლდება: თესლით, პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით გაზაფხულობით, ხოლო ნამყენებით კი ზაფხულობით, მაისში და თიბათვეში.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურცლის» № 686.

## სხვა-და-სხვა ამბავი

შავი ჭირი (ჟამი). შავი ჭირი ძველის-ძველი სენია. ის არა ერთხელ გაჩენილა ევროპაში და დიდძალი ხალხიც უმსხვერპლია. უპირველესად შავი ჭირი ევროპაში VI საუკუნეში გაჩნდა, ქრისტეს დაბადების შემდეგ. ეგვიპტეში გაჩნდა 542 წ. იქიდან სტამბოლს გადავიდა, სტამბოლიდან მთელ რომის იმპერიას მოედო და 50 წელიწადი მძვინვარებდა. ევროპას მთელი 87 წელიწადი აღარ გამოსცლია ეს საზარელი სენი: ხან ერთ მხარეს ჩნდებოდა და ხან მეორეს. ამ ხანში ყველაზე ძლიერ გამწვავდა შავი ჭირი მეთოთხმეტე საუკუნეში, როდესაც მას „შავი სიკვდილი“ უწოდეს. 1347 წ. აღმოსავლეთის მხარეს იფეთქა შავმა ჭირმა და შემდეგ ინგლისში მოედო. სტატისტიკური ცნობებიდანა სჩანს, რომ ამ ხანში დასავლეთ ევროპამ, შავი ჭირის წყალობით, 25,000,000 კაცი დაჰკარგა, ესე იგი $1/4$ მთელი დასავლეთი ევროპიისა. ევროპის ზოგიერთ კუთხეებში ისე გაჟლიტა ხალხი, რომ მეოთხედი აღარ გადარჩა. მეჩვიდმეტე საუკუნეში, იტალიაში, ხუთი თვის განმავლობაში, მარტო ერთ ქ. მილანში 30,000 კაცი იმსხვერპლა. მეთვრამეტე საუკუნეში ქ. მარსელში 60,000 კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს. აზიაში, ინდოეთში და მესაპოტამიაში შავი ჭირი ჩვეულებრივ ავად-...

**) გადარგვის შემდეგ მცენარე უნდა კარგად მოირწყას.

მყოფობათ გარდაიქცა, აქედან აღმოსავლეთის მხრივ ჩინეთის ზღვამდის გავრცელდა, შემდეგ სამხრეთით და გაიკეთა ამ ადგილებში სამუდამო ბინა. პირველად რუსეთში შავი ჭირი 1878 წ. გაჩნდა, არხანგელის გუბერნიაში დაბა ვეტლიანკში, მაგრამ ფესვი ვერ გაიდგა, რადგანაც მალე მიიღეს სამკურნალო ზომები. ძველი დრო გვიმტკიცებს, რომ შავი ჭირი გადასადები სენია. შავი ჭირის გამდებლობაში მეცნიერები უფრო ამ უკანასკნელ ხუთ წელში დარწმუნდნენ, როდესაც მთელი ინდოეთი და ჩინეთი შეიპყრო ამ სენმა და ყოველ ცისმარ დღეს ათასობით ისტუმრებს სამარისკენ. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ შავი ჭირი არის ისეთგვარი პაწაწკინტელა არსებანი, რომლებიც მხოლოდ გამადიდებელი შუშის საშუალებით შეიძლება დაინახოს კაცმა. ამ არსებათ ჭირის მიკროორგანიზმი უწოდეს. ეს მიკროორგანიზმები პატარა ჩხირის მზგავსია, რომელსაც თავი და ბოლო დაბოკილოებული აქვს და საკუთარ თვით-მოქმედებასაც მოკლებულია. მეცნიერებმა ეს მიკროორგანიზმები შავი ჭირის ავადმყოფის ნახველსა და განავალში აღმოაჩინეს, როგორც ადამიანის სხეულში, აგრეთვე ცხოველისაში. ექიმებმა გამოაცალკევეს ხსენებული მიკროორგანიზმები, მოაგროვეს განსაკუთრებითი ჭურჭელში, რომლებმაც სიცოცხლე განაგრძეს და დარწმუნდნენ, რომ მიზეზი შავი ჭირით სიკვდილისა დამოკიდებულია ამ მიკროორგანიზმებზე.

ეს მიკროორგანიზმები შეუშვეს ცხოველების ტანში. ცხოველები მაშინვე შავი ჭირით გახდნენ ავად იმ სახით, რა სახითაც იყო ავად ის პირი, რომლის სხეულიდანაც იყვნენ ამოყვანილნი.

ივ. კავთელი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

— თქვენ, როგორც ვიცით, სოფლით და უწინ უფრო კარგი ხალხი იყო.

— მე როგორცა მეგზავა.

— აქ სამწვრო სრულებითაც არა არის რა. წინათ იცოდნენ თვალი თვალის წინ და კბილი კბილის წინ, ეხლა კი იციან სიტყვა სიტყვის წინ და შირდაპირ კბილებში ბრაგვან!..

—

— ღმერთმანი, მაკვირს: როგორა ცხოვრობთ, რომ თავის დღეში ვალს არ იხდით?

— იცით რა გითხრათ, —ვალის გადახდა უფრო პატიოსანი კაცის მო-

ვალეობაა და გარდა ამისა ეს ჩემთვის უმაღლეს სიამოვნებას შეადგენს, მაგრამ მე ისეთი ეგოისტი არ გახლავართ, რომ ჩემი საკუთარი სიამოვნებისთვის ვიცხოვრო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებულ კომისიისაგან: ანზობში 16 ნოემბრამდე შავის ჭირით აღარავინ გამხდარა ავად; არც ამ ჟამად არის ვინმე ავად. სხვა ადგილებში მშვიდობიანობაა.

**რიგა.** აქ მოვიდა საერო განათლების მინისტრი.

**პარიზი.** დრეიფუსის საქმის ხელმეორედ განხილვის მომხრეებმა და პიკარის სამართალში მიცემის მოწინააღმდეგეთ გამართეს დიდი კრება. თავმჯდომარედ იყო ინსტიტუტის წევრი დიუკლო, ორატორთა შორის იყვნენ: ინატოლ ფრანსი, პოლრეკლიუ, ბიუსონი, რეინაკი. ორატორებმა ილაპარაკეს სამხედრო სასამართლოს წინააღმდეგ და ადიდებდნენ პიკარს, რომელიც, იმათი სიტყვით, იქმნება, გამტყუნებულ იქმნას, მაგრამ განაჩენს სისრულეში ვერ მოიყვანენ, რადგანაც პიკარის პატივის მცემელნი შესძლებენ ხელი შეუშალონ ასეთ უკანონობას.“ ალემონმა განაცხადა, ჩემის აზრით კავენიაკის დასი ბულანჟიზმს წააგავს და რესპუბლიკის დასარჩევლად ემზადება. პროფესორმა ლანგლუამ სთქვა, რომ თუ პიკარი გაამტყუნეს, ხალხი შესძლებს სამხედრო სასამართლოს ბრჭყალებიდგან დაიხსნას იგი. კრებამ აღტაცებით მოისმინა ის წინადადება, პიკარს ჩვენი გაოცება გამოვუცხადოთ იმის მოქმედებისა გამო და შემდეგ მორიგ საქმეებს შევუდგეთო. კრების შემდეგ ათასამდე კაცმა მანიფესტაცია გამართეს გაზეთის „ლიბრ პაროლის“ რედაქციასთან და ჰყვიროდენ „გაუმარჯოს პიკარსაო!“ ჩხუბის შემდეგ, პოლიციამ დაშალა მანიფესტანტების ბრბო.

## განცხადებანი

გაბრიელ ეპისკოპოსის

სადარბაზო სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენიერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, ისყიდება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში“.

ფასი 35 მან. (5—1).

---

**სხივი წარსულისა**

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება შაურად. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. ისყიდება: ტფილისში—წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—ბეჟანიშვილთან, წერეთელთან და ხეთერელთან, ახალ-სენაში, ოზურგეთში და ბათომში—თავართქილაძესთან. (6 6)

---

შპალერების საწყობი

**ი. გ. მელიქიშვილის**

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

**I. Г. МЕЛИКОВА**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцрун[…] № 102, около муз· магаз. ЛАНКО. (100—8…)

---

**„НИВА“**

Подписчики „НИВЫ“ получають въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ И. А. ГОНЧАРОВА, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣщен. въ прежн. изданіяхъ, стоящихъ 13 руб. 50 коп.) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазированной бумагѣ.

Подписная цѣна „НИВ[…]

на годъ со всѣми приложеніями

| | |
|---|---|
| Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к. | Съ перес. во всѣ города и мѣстности Россіи […] |
| Съ доставк. въ СПБ. 6 р. 50 к. | |
| Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе“—6 р. 50 к. | За границу […] Разсрочка […]тежа въ 2 […] срока. |

Даетъ въ теченіе **одного 1899 года** своимъ подписчикамъ

**БЕЗПЛАТНО**

полное собраніе сочиненій

**Гончарова**

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Біо[графи]ческій очеркъ С. А. Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. Кри[тич.] замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** О[быкно]венная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром. въ 4[-хъ] ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч Ч. Ш и IV. **Томъ V.** Ф[ре]гатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хъ ч. Ч. I. Главы I—V. **Томъ** […] Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VШ Ч. II. Гл. I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. […] IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I. и II. **Томъ IX.** Обрывъ. […] въ 5 ч. Ч. Ш. **Томъ X.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ X[I]** […] очерка: I. Литературный вечеръ. П Мильонъ терзаній. Ш. Замѣтки о […]ности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Вос[поми]нанія: I. Въ университетѣ. П. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. […]тинъ. П. Антонъ. Ш Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: Пре[врат]ность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «Ежемѣсячныхъ литерат. приложеній» (романы, повѣсти, р[ас]сказы, популярно-научныя статьи и пр. современ. авторо[въ]

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» [до 300 модныхъ гравюръ по п[ос]лѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ натуральную величину (около 600 рисунк. и чертеж ). СТѢННОЙ К[А]ЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИВА“ С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—1)

Дозволено ценаурою. Тифлисъ, 24 Ноября 1898 г. „ცნ. ფურც.“ (გ. ტვ...), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ვუ[…]